საიდ. N82758/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №76-03/16

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ - „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე, თ. ჯაფარიძე, ს. ებრალიძე, თ. კევლიშვილის მდივნობით განიხილა კომპანიის „მედინოვა აგ“ (MEDINOVA AG) N76-03/16 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 31 მარტის N731/03 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც სასაქონლო ნიშანზე „FLUCOZIN ФЛУКОЗИН ფლუკოზინი“ (საიდ. N82758/03) მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება შპს „გლობალფარმი“-ს

სახელზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ რეგისტრაციის შესახებ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

აპელანტი კომპანია „მედინოვა აგ“ (MEDINOVA AG) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის აზრით, სადავო სასაქონლო ნიშანი „FLUCOZIN ФЛУКОЗИН ფლუკოზინი“ (საიდ. N82758/03) არ ექვემდებარება საქართველოში რეგისტრაციას საქონლის საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-5 კლასის ჩამონათვალისათვის, ვინაიდან იგი მსგავსია საქართველოში უფრო ადრინდელი პრიორიტეტით დაცული სასაქონლო ნიშნისა - „FLUOMIZIN“ (საიდ. N58068. რეგ. თარიღი: 18.03.2013), რაც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველს.

აპელანტის განმარტებით, სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკური და ვიზუალური თვალსაზრისით, რაც ქმნის ნიშნებს შორის აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

აპელანტის პოზიციით, სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკური თვალსაზრისით, ვინაიდან სადავო სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „ფლუკოზინ“, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი გამოითქმის, როგორც „ფლუომიზინ“. ნიშნებში საწყისი სამი ასო „ფლუ“ და ბოლო მარცვალი „ზინ“ იდენტურია. აღნიშნული ნაწილები მკაფიოდ წარმოითქმის და მათზე მოდის ძირითადი განმასხვავებლობა. ამასთან, სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნების მეორე მარცვალში ხმოვანი „ო“-ს არსებობა აძლიერებს ნიშნებს

შორის მსგავსებას და ზრდის ნიშნებს შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობას.

აპელანტის განმარტებით, სადავო და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალური თვალსაზრისით. ორივე ნიშანში იდენტურია პირველი სამი და ბოლო სამი ასო, ამასთან ვიზუალურად საკმაოდ დასამახსოვრებელია სიტყვის შუაში არსებული „ო“.

აპელანტის განმარტებით, სადავო სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს მე-5 კლასის საქონლის სათაურს, რაც შეეხება რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს იგი დაცულია მე-5 კლასის შემდეგი საქონლის ჩამონათვალის მიმართ: „ფარმაცევტული, ვეტერინალური და ჰიგიენური პრეპარატები“. მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი დაცულია საქონლის კონკრეტული და ვიწრო ჩამონათვალის მიმართ, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სადავო სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი მოიცავს რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალსაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 31 მარტის N731/03 ბრძანების ბათილად ცნობას, რომლითაც სასაქონლო ნიშანზე „FLUCOZIN ФЛУКОЗИН ფლუკოზინი“ (საიდ. N82758/03) მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება შპს „გლობალფარმი“-ს სახელზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ რეგისტრაციის შესახებ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის

სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2014 წლის 19 აგვისტოს N05 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „სიმბოლოების მსგავსების დადგენის ძირითადი კრიტერიუმი შეიძლება იყოს სიმბოლოების სმენითი (ფონეტიკა, მუსიკალური ჟღერადობა), მხედველობითი (გრაფიკა, ფერთა შეხამება), აზრობრივი (სემანტიკა, არსი) მსგავსება. სიმბოლოების შედარებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთო შთაბეჭდილებას“. ამასთან, ნიშნების შედარებისას მხედველობაში მიიღება ნიშნის დაცვისუნარიანი და დომინანტი ელემენტები.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ სადავო სასაქონლო ნიშანი „FLUCOZIN ФЛУКОЗИН ფლუკოზინი“ (საიდ. N82758/03) და რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „FLUOMIZIN“ (რეგ. N58068 რეგ. თარიღი: 18.03.2013) არ წარმოადგენენ აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. ნიშნები განსხვავებულია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით.

სადავო სასაქონლო ნიშანი „FLUCOZIN ФЛУКОЗИН ფლუკოზინი“ (საიდ. N82758/03) შედგება სამი სიტყვიერი ელემენტისაგან. სიტყვიერი ელემენტები შესრულებულია სტანდარტული ლათინური და ქართული ასოებით, ასევე კირილიცაზე.

რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი „FLUOMIZIN“ (საიდ. N58068. რეგ. თარიღი: 18.03.2013) შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასომთავრული ასოებით.

სადავო სასაქონლო ნიშნის საწყისი ნაწილი „FLUCO“ წარმოადგენს ე.წ. ფორმანტს და მიანიშნებს მედიკამენტის აქტიურ ნივთიერებაზე - „Fluconazole“ (https://en.wikipedia.org/wiki/Fluconazole), რომელიც გამოიყენება სოკოვანი დაავადებების სამკურნალოდ. შესაბამისად, სადავო სასაქონლო ნიშნის საწყისი ნაწილი „Fluco“ წარმოადგენს დაცვის სუსტ ელემენტს. ამდენად, ნიშნების შედარებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს სადავო სასაქონლო ნიშნის ბოლო ნაწილზე „ZIN”, რომელიც ვიზუალურად და ფონეტიკურად განსხვავდება რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისაგან „FLUOMIZIN“. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაპირისპირებული ნიშნები მომხმარებელზე ახდენს განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას.

ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკური თვალსაზრისით, რადგან სადავო სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის, როგორც: „ფლუკოზინ“, ხოლო რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც: „ფლუომიზინ“. აღნიშნული კიდევ უფრო მეტად ამცირებს ნიშნებს შორის აღრევის და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის „FLUCOZIN ФЛУКОЗИН ფლუკოზინი“ (საიდ. N82758/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „მედინოვა აგ“ (MEDINOVA AG) N76-03/16 სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს „სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის 2016 წლის 31 მარტის N731/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ნ. გოგილიძე

წევრები: თ. ჯაფარიძე

ს. ებრალიძე